ხელშეკრულება №2112
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მენეჯერის გიორგი შათირიშვილის 2022წლის 11 იანვრის N 21 ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ გიუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ გიორგი ბირკაძე პ/ნ 59001028658 სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა (ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სოფ. ბერბუკის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებისთვის დაზიანებული გათბობის სისტემის გამორეცხვა და ქვაბის შეკეთება, სოფ კარალეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის გათბობის სისტემის გამორეცხვა და სოფ. ტინისხიდის სკოლამდელი დაწესებულებისთვის დაზიანებული გათბობის სისტემის გამორეცხვა .

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

#	დასახელება	CPV კოდი	ზ/ე	რაო-ბა	ერთ.ფასი	ჯამი
1	ცენტრალური გათბობის ქვაბის გამორეცხვა და შეკეთება	50720000		1	300	300
2	ცენტრალური გათბობის ქვაბის გამორეცხვა	50720000		1	300	300
3	დაზიანებული გათბობის სისტემის გამორეცხვა	50720000		1	430	430
	სულ					**1030**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.შესყიდვის მომსახურების საერთო ღირებულება არის – 1030 (ათასოცდაათი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს იქნება ხარისხიანი, ქარხნული და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: სოფ. ქვახვრელი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი - მარიკა

საძაგლიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი პროდუქცია.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებში;

ბ) მომსახურების შესასრულებლად საჭირო ტექნიკის, მასალის და სხვა ინვენტარის მობილიზება მოახდინოს მიმწოდებელმა, რომელთა დაზიანების, დაკარგვის ან გაუმართაობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს;

გ) მომსახურება განახორციელოს შემსყიდველთან შეთანხმებით;

დ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

ე) აცნობოს შემსყიდველს უმოკლეს ვადაში მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ვ) მიმწოდებელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად (მათი არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 9. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირი.

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა

1. მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ს ოდენობით.
2.თუ ვადის დარღვევის გამო, მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის ქმედებით შემსყიდველს მიადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანი, მაშინ მიმწოდებელს დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-სა.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
ე) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
ვ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად ან ნაწილობრივ გადასცა ქვეკონტრაქტორს;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 14. შეტყობინება

1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით (შემსყიდველის შემთხვევაში saagento18@gmail.com ხოლო მიმწოდებლის შემთხვევაში giorgibirkadze@gmail.com ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 15. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია/დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

7. ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს მას ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 29 თებერვალი გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო

ს.კ.: 418471022

მის.: ქ.გორი, სტალინის გამზ.#16

ბანკი: ეროვნული ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ელ.ფოსტა: saagento18@gmail.com

მენეჯერის მოადგილე: ვახტანგ გიუნაშვილი

_____

Vakhtang Giunashvili

Digitally signed by Vakhtang Giunashvili
Date: 2023.12.22 12:36:02 +04'00'

მიმწოდებელი:

ი/მ გიორგი ბირკაძე

პ/ნ 59001028658

მის: ქ.გორი,თამარ მეფის მე–5 კვ 13კ/ბინა 6

ბანკის დასახელება: სს ,,საქართველოს ბანკი''

ა.ნ: GE94BG0000000573450508

ბანკის კოდის: BAGAGE22

ი/მ გიორგი ბირკაძე

_____

Giorgi Birkadze

Digitally signed by Giorgi Birkadze
Date: 2023.12.22 14:17:19 +04'00'